სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტო"-ს

N202209. 08.09.2022წ

მოგახსენებთ, რომ ქ. თბილისში, თემქის მე-3 მიკრო რაიონი, მე-5 კვ.-ში ისაკიანის ქუჩა N1-ში ფუნქციონირებს შპს „პოლიპლასტი"-ს პოლიეთილენის გრანულებისა და ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო.

ზემოაღნიშნულ პროექტზე 2021 წლის 19 თებერვალს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ N 2-219 ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე კომპანიამ გადაწყვიტა არსებული დანადგარების ცვლილება, კერძოდ, 2 ცალი ექსტრუდერი დანადგარის ნაცვლად, საწარმოში დამონტაჟდა 1 ცალი ექსტრუდერი. ასევე დაგეგმილია არსებული 3 გრანულატორის ექსპლუატაციიდან ამოღება, და მათ ნაცვლად 1 ცალი გრანულატორის დამონტაჟება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-5 მუხლის, მე-12 პუნქტის საფუძველზე, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მომზადდა შპს „პოლიპლასტი"-ს პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიში.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტი და გასცეთ სკრინინგის გადაწყვეტილება.

წერილს თან ერთვის:

- სკრინინგის ანგარიში - ელექტრონული ვერსია;
- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევის ნორმების პროექტი
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით - ელექტრონული ვერსია;

პატივისცემით,

შპს „პოლიპლასტი"-ს დირექტორი

გიორგი ვახტანგიშვილი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
08 09 2022
4704